

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის  
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის  
მიზნობრივი პროგრამა

2017 წლისათვის  
ზომის ერთეული ლარი

1. პროგრამის სახელწოდება:

პირველადი ჯანდაცვის ცენტრების ფუნქციონირების ხელშეწყობა

2. პროგრამის დაწყების და დასრულების თარიღი, ხანგრძლივობა:

“1 იანვარი“ 2017წ.  
“31 დეკემბერი“ 2017წ.

3. პროგრამის ორგანიზაციული კოდი საბიუჯეტო კლასიფიკაციით: 06 01 03

4. პროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

22427 (ოცდაორიათასოთხასოცდაშვიდი) ლარი.

5. პროგრამის დაფინანსების წყაროები

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტი – 22427 ლარი.

6. პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანო:

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.

**7. პრობლემის აღწერა და მისი აქტუალობის დასაბუთება ან/და ნორმატიული აქტი, რომლის საფუძველზეც დგება პროგრამა**

პირველადი ჯანდაცვა წარმოადგენს ჯანმრთელობის დაცვის სისტემის უმნიშვნელოვანეს შემადგენელ კომპონენტს. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მოსახლეობას პირველად სამედიცინო მომსახურებას უწევს 31 სერტიფიცირებული ოჯახის ექიმი და ექთანი. მათი უმეტესობა მუშაობს დონორი ორგანიზაციების მიერ რეაბილიტირებულ ან ახლად აშენებულ პირველადი ჯანდაცვის ცენტრებში. გააჩნიათ სათანადო სამედიცინო აღჭურვილობა. აღნიშნული ფაქტორები განაპირობებს სოფლის მოსახლეობისათვის ხარისხიან სამედიცინო მომსახურებას.

მუნიციპალიტეტის გამგეობა ახორციელებს გადაუდებელი ამბულატორიული მომსახურებისათვის აუცილებელი მედიკამენტებითა და სამედიცინო დანიშნულების საგნებით უზრუნველყოფას. თანახმად საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2012 წლის 28 მარტის №01-63/ო ბრძანებით გათვალისწინებული ჩამონათვალისა. (ე.წ.ექიმის ჩანთა). პჯდ ცენტრების ფუნქციონირების ხელშეწყობას მუნიციპალიტეტის გამგეობა ახორციელებს აგრეთვე კომუნალური ხარჯებითა და საჭიროებისას სამედიცინო კაბინეტების დაქირავების თანხის ანაზღაურებით.

**8. პროგრამის მიზნები და მათი მიღწევის შეფასების ინდიკატორები:**

№	პროგრამის მიზნები	მიზნების მიღწევის შეფასების ინდიკატორები
1	ხელვაჩაურის მოსახლეობის პირველი სამედიცინო დახმარების უზრუნველყოფის ხელშეწყობა პირველადი ჯანდაცვის ცენტრების მეშვეობით.	სოფლის მოსახლეობის სამედიცინო მომსახურებით კმაყოფილების დონის ამაღლება. პაციენტთა რაოდენობა.
2	სოფლის მოსახლეობის უზრუნველყოფა მედიკამენტებით გადაუდებელი სამედიცინო დახმარების მიზნით.	

9. პროგრამის სამოქმედო გეგმა დასახული მიზნებისა და ამოცანების მიხედვით:

2017 წელი													
№	საკმიანობის აღწერა	იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი	ივლისი	აგვისტო	სექტემბერი	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი
1..	ელექტროენერჯის დანახარჯის ანაზღაურება	X	X	X	X	X	X	X	X	X	X	X	X
2.	სამედიცინო კაბინეტების იჯარის ხარჯის უზრუნველყოფა	X	X	X	X	X	X	X	X	X	X	X	X
3..	შეძენილი მედიკამენტების ხარჯის ანაზღაურება	X	X	X	X	X	X	X	X	X	X	X	X

10. პროგრამით მოსარგებლე პირთა შერჩევის წესი:

პროგრამის ახორციელებს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის პირველადი ჯანდაცვის ცენტრების მუშაკები, რომლებიც აღნიშნულ თანამდებობებზე დასაქმებული არიან სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს აჭარის ა/რ ფილიალის ხელშეკრულებების საფუძველზე.

## 11. პროგრამის ბიუჯეტი

ა) პროგრამის დაფინანსება წლების მიხედვით

№	წყაროს დასახელება		2017 წელი	2018 წელი	2019 წელი	სულ
	ძირითადი	ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი	22427			22427
	დამატებითი					
	სულ		22427			22427

ბ) პროგრამის ხარჯები ღონისძიებათა მიხედვით

№	მომსახურების სახეები	ერთეულის რაოდენობა პჯდ ცენტრი	ერთეულის ფასი	თვე	თანხა (ლარი)
1	ელექტროენერჯის დანახარჯის ანაზღაურება 8 პჯდ ცენტრისათვის	19 ეკიმი	20	12	4560
2	სამედიცინო კაბინეტების იჯარის ხარჯის ანაზღაურება	2	91	12	2184
3	შექნილი მედიკამენტების ხარჯის ანაზღაურება	31	42,158	12	15683
სულ ხარჯი					22427

12.. საანგარიშო პერიოდში პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი სახელმწიფო შესყიდვები:

№	შესყიდვის ობიექტის დასახელება და მოკლე აღწერა	შესყიდვის განხორციელების ვადები	შესყიდვის განხორციელების ფორმა	შესყიდვის დაგეგმილი თანხა	შენიშვნა
1	„ეკიმის ჩანთის“ შემადგენელი მედიკამენტების შესყიდვა	2017 წლის- I კვარტალი	გამარტივებული ელექტრონული ტენდერი	15683	

## დამატებითი ინფორმაცია:

ა) მატერიალური რესურსის გაცემის სქემა:

მედიკამენტების შესყიდვა განხორციელდება “სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. დაფინანსება განხორციელდება ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგეობასა და სააფთიაქო დაწესებულებას შორის გაფორმებული ხელშეკრულების პირობებით.

ელექტროენერჯის გადასახადის დაფარვა მოხდება ყოველთვიურად, პჯდ ცენტრების მიერ წარმოდგენილი მრიცხველის მონაცემების მიხედვით, არაუმეტეს პროგრამით გათვალისწინებული ოდენობით. წლის პირველი ნახევრის მონიტორინგის შედეგების გათვალისწინებით შესაძლოა მოხდეს დასაფარი თანხის კორექტირება.

სამედიცინო კაბინეტების იჯარის ხარჯის ანაზღაურება მოხდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ოდენობით. ჩარიცხვა მოხდება სამედიცინო დაწესებულების ანგარიშზე.